



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 30
03/05/2018

30-06-4-201805031206



განკარგულება № 30
2 მაისი
2018 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს დაფუძნებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-19 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 106¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს (ს/კ.437064515) ორგანიზაციულ სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი-მერცხალი“-ს დაფუძნების მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო